

ახალი

„მედნიერია ის, ვისაც  
სამშობლოსათვის უძგერს გული.“

# ჭანიანი



ჭანიანი

85 წელი  
თქვენთან  
ერთად!


ელფოსტა

2017 წელი 28 აგვისტო № 8 № 8125



AxaliGantiadi@gmail.com

## ვილიჯვთი მარიაშობას!



### ლოთისმშობლის ეკლესია

რკონის სამონასტრო კომპლექსი, ანუ კრკონი, როგორც მას ვახუშტი ბაგრატიონი უწოდებს, მდებარეობს შუა ქართლში, კასპის რაიონში, მდინარე თემის ზემო წელში, მის

მარცხენა ნაპირას. „... ზემოთ, თემის მდინარესა ზედა, არს კრკონს მონასტერი გუმბათიანი, ფრიად მაგარსა და შეუალს ადგილს. აქა არს ლითონი ბრპენისა მრავალი, იტყვან ვეცხლსაცა. ზის წინამძღუარი,“ - ამბობს ვახუშტი. უახლოესი დასახლებული პუნქტია სოფელი ჩაჩუბეთი. კო-

მპლექსთან ახლოს მდებარეობდა სოფელი რკონი. „... აქამომდე არს თემამი ვენახ-ხილითა ნაყოფიერი. ამას ზეით, ვითარცა თრიალეთი ჭვარებიტურთ. კრკონს ზეით, კველომას, არს მონასტერი,“ - წერს ბაგრატიონი.  
**დასასრული გვ9.**

# შიდა ქართლის მხარის გუბერნატორი კასპში



სათვის უკვე საფრთხის შემცველი იყო. ულა, რომლის წევრებიც ქართული ტრადიციული

კასპის მუნიციპალიტეტში დასრულებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები შიდა ქართლის მხარის გუბერნატორმა კასა სამხარაძემ დაათვალიერა.



კასა სამხარაძემ კასპში შშმ პირთა კავშირის წევრებიც მონაზ-

მუნიციპალიტეტში ამჟამად ქალაქის 2 საბავშვო ბაღის სრული და 9 სოფლის საბავშვო ბაღის ნაწილობრივი რეაბილიტაცია მიმდინარეობს. ახალი, თანამედროვე საჯარო სკოლა აშენდა სოფელ თვალაღში, კასპში მიმდინარეობს №1 საჯარო სკოლის მშენებლობა.



გზები მოასფალტდა კოდისწყაროსა და ლამისყანაში, კაპიტალური რეაბილიტაცია ჩაუტარდა მდინარე მტკვარზე მდებარე კასპი - კავთისხევის სამანქანე ხიდს, რომელიც გადაადგილები-

## შეკითხვები სოფლის მეურნეობის მინისტრს



ივლისის მიწურულს კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, კასპის მაჟორიტარი დეპუტატის ირაკლი მეზურნიშვილის ინიციატივით - საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა შეხვედრა გამართა.

შეხვედრას მუნიციპალიტეტის ფერმერები, აგროკრედიტის ფარგლებში დაფინანსებული მეწარმეები და სოფლის მეურნეობის საკითხებით დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ. მინისტრმა ისაუბრა სოფლის მეურ-

ნეობის მიღწევებსა და პრობლემებზე, სამომავლო გეგმებზე.

შეხვედრის მონაწილეებმა მინისტრს შეკითხვები სარწყავი სისტემის, ტექნიკის, აგროქიმიკატების ხარისხის, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაციის, სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის მონტაჟის, აგროდაზღვევის და სხვა საკითხების შესახებ დაუსვეს. ლევან დავითაშვილმა კითხვებზე ამომწურავი პასუხები გასცა და მათ კოორპირაციების შექმნისა და მაღალმთიან სოფლებში განსახორციელებელ მნიშვნელოვან ახალ პროექტში მონაწილეობისკენ მოუწოდა.



შეხვედრას ესწრებოდა შიდა ქართლის მხარის გუბერნატორი კასა სამხარაძე და მოადგილე სიმონ გულედანი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველოს უფროსი მამუკა ლომსაძე, საქართველოს მელიორაციის შიდა ქართლისა და სამცხე ჯავახეთის სამსახურის უფროსი გაბრიელ მაზმიშვილი.

## განათლება შეხვედრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა კასპის მუნიციპალიტეტში იმყოფებოდა.



მინისტრმა ვიზიტი სოფელ ოკმის საჯარო სკოლიდან დაიწყო, რომელსაც მილენიუმის (ათასწლეულის გამოწვევა საქართველოში) პროგრამის ფარგლებში სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა. მინისტრმა ასევე მონაზულა ქალაქში მშენებარე №1 საჯარო

(მშენებლობა დაგეგმილია გოგების შეკითხვებს უპასუხა - მათ კი შეხვედრისა და საინტერესო რომელიც პროფესიულ სიახლეების გაცნობი-



სკოლის მიმდინარე სამუშაოები, შემდეგ კი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების პედაგოგებს შეხვდა.

სასწავლებელში შევა, ის სათვის მინისტრს მაღლობა გადაუხადეს. შეხვედრას ესტუმრებოდა შიდა ქართლის

ალექსანდრე ჯეჯელავამ პედაგოგებს გააცნო ზოგად და პროფესიულ განათლებაში მიმდინარე ახალი პროექტები.



მინისტრმა ვრცლად ისაუბრა სკოლების რეაბილიტაციასა და სკოლების ახალი ტექნოლოგიებით აშენებაზე, უცხოეთში მცხოვრები ქართველებისთვის დისტანციური ქართული ენის გაკეთილებსა და ქვეყნების ქსელის გაფართოების შესახებ, სკოლების ინფრასტრუქტურაზე, სასკოლო სახელმძღვანელოებზე, სკოლაში პედაგოგის უმნიშვნელოვანეს როლზე, - მათ შორის დაწესებულებაში ხელშეწყობაზე.

რაც საშუალებას მისცემს მხარის გუბერნატორი სწავლა უმაღლეს სასწავლებელში განაგრძოს. მინისტრმა პედა-

მინისტრმა ყურადღება გაამახვილა პროფესიული განათლების კუთხით გათვალისწინებულ გეგმებზე, პროფესიული კოლეჯების მშენებლობაზე



დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

# სასაქონლო წყლის მარაგობის სოფლებში

## კვლევა ჩაატარა

სოფელ ქვემო ჭალაში წყალსადენის მაგისტრალის ქსელების და სათავე ნაგებობის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს. სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "ჰიდროტექნოლოგიური ჯგუფი" ასრულებს. პროექტი ითვალისწინებს დრენაჟის მოწყობას, რეზერვუარის რეაბილიტაციას, შიდა დაქსელვას, ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას, საქლორატოროს და დარაჯის ოთახის მოწყობას.

პროექტის განხორციელება სოფლის მოსახლეობას სასმელი



## კოდისწყაროს და ლამისყანის გზის რეაბილიტაცია დასრულდა



კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კოდისწყაროში - კოდისწყაროსა და სენაკი-ლესელიძე ჩქაროსნულ მაგისტრალთან დამაკავშირებელი და სოფელ ლამისყანაში ლამისყანა - თეზიოკამი-თბილისი-სენაკი-ლესელიძის ჩქაროსნულ მაგისტრალთან - შემადგენელი გზის მონაკვეთის ეტაპის მოასფალტებული გზა საქართველოს პარლამენტში კასპის მა-

ჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი მეზურნიშვილმა, შიდა ქართლის მხარის გუბერნატორმა კახა სამხარაძემ და მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა გახსნა. კოდისწყაროს გზის მოასფალტების სამუშაოებზე, რომლის სიგრძეც 2 400 გრძივი მეტრია, 683 553 ლარი დაიხარჯა. აღნიშნული გზით კოდისწყაროს გარდა, გამოყოფილ ხაზისპირა სო-

ფლების ყარაფილას, სარიბარის და ზადიანთკარის მოსახლეობა ისარგებლებს. ადგილობრივმა მოსახლეობამ მადლობა გადაუხადა რეგიონალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას დახრამული, ნალექის დროს ტალახის და საფრთხის შექცეული



გზის რეაბილიტაციით. ლამისყანის გზის სიგრძე 2 000 გრძივი

მეტრია, მასზე 448 107 ლარი დაიხარჯა. ორივე პროექტი დაფინანსებულია რეგიონების განვითარების ფონდიდან, რომლის სამუშაოებიც შპს "საგზაო-სამშენებლო სამმართველო №1"-მა შესასრულა - აღნიშნა გოჩა გოჩიტაშვილმა.

ადგილობრივი ბრძემა მოსახლეობამ მადლობა გადაუხადა ხელისუფლების წარმომადგენლებს, ისინი კმაყოფილე-

ბი არიან კეთილმოწყობილი, მოასფალტებული გზით.

## სასაფლაოს დასუფთავების აქცია



შპს "კასპის კეთილმოწყობი"-ს დასუფთავების სამსახურმა ქალაქის სამი სასაფლაოდან ორ სასაფლაოზე (მესამე საჯარო სკოლის მიმდებარე) დასუფთავების აქცია ჩატარა.

სასაფლაოების დასუფთავების აქცია ერთჯერადი არ შეიძლება იყოს. აღნიშნული აქცია აუცილებელი იყო ამ ეტაპზე. აღნიშნის ღირსია ის ფაქტი რომ სასაფლაოებსა და მისასვლელ გზაზე დიდი რაოდენობის ნარჩენი ეყარა. იქვე განთავსებული ნარჩენის

**გახდით ზეინი მყითხველი!**

ურნები კი - სამწუხაროდ, ყველა ცარიელი აღმოჩნდა - აღნიშნა აქციის მონაწილემ, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ ზაზა მარიდაშვილმა. ჩვენ ყველა სასაფლაოს დასუფთავებას ვგეგმავთ და კარგი იქნება თუ მოსახლეობა შემოგვიერთდება და ჩვენთან ერთად ახლობლების სასაფლაოს და მიმდებარე ტერიტორიას დაასუფთავებენ. **დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი.**

მაგულო, სისოხსლო!

გახდით ზეინი მყითხველი!



შინდისის ბრძოლა 2008 წლის აგვისტოს ომის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ეპიზოდია. 11 აგვისტოს სოფელ შინდისის სარკინიგზო სადგურთან საქართველოს შეიარაღებული ძალების II ქვეითი ბრიგადის საინჟინრო ოცეული უთანასწორო ბრძოლაში ჩაება რუსულ მოტომსროლელ ასეულთან, რომელიც სადგურის ახლოს იყო ჩასაფრებული. ბრძოლამ დაახლოებით ერთ საათამდე გასტანა, რომლის განმავლობაში მოწინააღმდეგემ ორჯერ გამოიძახა დახმარება. ქართველი ჯარისკაცების მიმართულეებით მტერი თითქმის ყველა სახის იარაღიდან ისროდა, მათ შორის ტანკებიდან და რეაქტიული ცეცხლმტყორცნიებიდან.



## გულს აფიცადი...

ომი და მშვიდობა! საქართველო და გმირები! ხსოვნა და უკვდავება! 2017 წლის 22 ივლისი, კასპი-გორი-შინდისი, კასპელი მეზობლები და მშვიდობისმყოფელები პატივს მიაგებენ მამულისათვის თავდადებული გმირების ხსოვნას! ქართველებო, მამულიშვილებო! კვლავ რეკენ შინდისის (სინდისის?) ზარები!

თა სავანის გუმბათის ბჭისკარზე ... ნურც მოგვშლოდეს! კასპის ცემენტის ქარხანაში მომუშავე ვეტერანებმა და სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის შიდა ქართლის თანამშრომლებმა პატივი მიაგეს და გვირგვინით შეამკეს ქალაქ კასპში მდებარე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა მემორიალი, ასევე გორის რაიონის სოფელ შინდისში მდებარე 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ გმირთა მემორიალი, აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი მათგანი კახა კოშაძე ჩვენი რაიონის მკვიდრია.



კახა კოშაქი (1986 - 2008)



ხოვლეღმა აკაკი კოშაქემ და მისმა მეუღლემ, ქალბატონმა ზეინამმა, სამი ვაჟკაცი გაუზარდეს ღელა-ქვეყანას. უფროსი - თამაზი - 1985 წელს დაიბადა, უმცროსი - ზვიადი - 1990 წელს. კოშაქების ოჯახის შუათანა შვილი, კახა, 1986 წლის 4 მარტს დაიბადა ქობილისში. დაამთავრა ღელაქალაქის 164-ე საშუალო სკოლა და სამედიცინო კოლეჯი (ექიმ-სტომატოლოგის სპე-

ცილობით). ძმები ბავშვობასა და ჭაბუკობაში ერთმანეთს თითქოს არ ჰგავდნენ ქცევებით, მისწრაფებებით, მაგრამ სამივეს ძალიან უყვარდა მამუღეთის სოფელში ყოფნა-ცხოვრება იქაურ თანატოლთა გარემოში. თბილისის გღღანის უბნის სამოსა და სოფლის მეღობრეებში ისწავლეს ერთმანეთის გატანა, მზარში თანაღვომა. მათთვის უცხო არც ბავშვური ცელქობანი ყოფიღა,

ღელაქალაქურ-სოფლურ გარემოებებში გაიზარდნენ და ღავა-ჟკაცდნენ...

კახამ, უფროსი ბიბაშვიღებისა და ძმაკაცების მიბაძვა-გავლენით, ჭიღაობის სიყვარული ამოიჭრა გულში, ზაფხულობით თანასოფლელ ბიჭებთან ცღიღა თავის ძაღებს, არაფერში ჩამორჩებოღა აღგილობრივებს, პირველი სპორტული ჯიღღოც დაიბსაზურა, მაგრამ, ერთხელ, ფეხი იტკინა და ჭიღაობას განუღღა... ახლა სამხედრო საქმისაღმი და ნაღირობისაღმი, იარაღისაღმი პატივისცემა გაუცხოვეღღა. ის ის იყო, კოლეჯი დაასრულა, არმიბაში სავაღღებულო სამსახურის ღრომ უწია. სასაზღვრო-საჯარისო ყოფის ავან-ჩავანში გაერკვა...

2005 წელს საკონტრაქტო სამსახურში ჩაღღა მე-2 ქვეითი ბრიგაღის საინჟინრო ასეულში. მონღომებით, საქმიანაღ, გუღლისყურით გაიარა არმიული სწავღების რამღენიმე ("ბისითის", სროღის, ცოღნის ამაღღების, "რკინის კაცის") კურსი და სათანაღო სერტიფიკატები მიიღო...

ჩვენი ღროის გმირის, 22 წლის კახა კოშაქის, ცხოვრებისეულ ღამაზ და თამაღ ოცნებებს 2008 წლის აგვისტოს ღღებში სოფელ შინღისში (გორის რაიონი) მომზღური მტრის ტყვიამ ღაუსვა წერტილი, რომღის შემღღე ღაღა ჟამი უკვღავეღისა, მარაღიული ხსოვინისა, ზეციურ საქართველოში ღავეანებისა, სუღის გაღაღებისა...

შივე ცხოვრობს და ამჟამღ შიღა ქართღის მხარის ოთხივე რაიონის ვეტერანების საქმეების რწმუნებუღია. მეორე კი კასპელი იური ხუროშვიღია. იგი ცემენტის ქარხნის მუშაა... ღიბაზ, მათ იარაღით მოიპოვეს სიცოცხღის, მეღობრობის, მშვიღობის, სიყვარუღის, ძმობის, ცოცხღად გაღარჩენიღ თანამებრძოღთა პატივისცემისა და, ცხაღია, უბირვეღესაღ საომარვეღზე, საწვრებში ღაღუჟულ თუ, სულაც, უგზო-უკვლოღ ღაკარგულ ძმათა სუღებისათვის სუღთათანას აღსრუღების უფღება!

მათ საქართვეღოსთვის სისხღი ღაღვარეს - ეს ყვეღას კი არა, ბევრს არ შეუღღია. მათ ახსოვთ აფხაზეთი და სამაჩაბლო - ეს ყვეღას კი არა, ბევრს აღარ ახსოვს. მათ იციან მეღობრობის, ურთიერთ თანაღვომის, ქართვეღად ღაბაღება-ყოფნა-არსებობის გამართღების არსი - ეს ყვეღას კი არა, ჩვენში მხოლოღ ერთეულებს ძაღუღით!.. (ჰოღა, ძღიერი სუღისკვეთების ორ მეღობარს ამიღრმაც ვუწოღე "ზეიადიური"...აკი, ერთს ზვიადი ჰქვიღა, მეორეს კი იური!).

ფოტო გაღაღებუღია შინღისის გმირთა მემორიაღთან.



გვერღი მოახაღა ამიჩან ქალანღაქაღ.



ზვიად(ი)ური

აი, მეღობრები! აი, მშვიღობისმყოფეღები! აი, თანამებრძოღთა ხსოვინის სულშემებერავნი! ესენი, ფოტოზე რომ ხეღავთ და, თანაც, ერთმანეთს ღვიღლი ძმებივით ჰგვანან, ომის ღაბირინთებიღან ცოცხღად გამოსუღი მეღობრები არიან. მათი ძმობა ბრძოღებში გამოიჭეღა და გამოიწროთ. რამღენიმე თვის განმავღობაში მზარღამზარ იბრძოღდნენ აფხაზეთში ბატაღიონ "თეთრი არწივის"

შემაღვენღობაში. ვინ იციის, სიკვეღღმა მათაც თვაღებში რამღენჯერ ჩახეღა. იღბალი ჰქონღათ და გაღარჩნენ. ღღემღე განვღიღ წღებში რამღენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს სხვაღას სხვა აღგიღზე და ყოვეღეთვის - შემთხვევით, ღაუგეღმავეღ ... როგორც, აი, ახღა, სოფელ შინღისში, გმირების მემორიაღთან! მარცხნივე მღღომს, ზოღებიანმაისურიანს, ზვიად საბაშვიღი ჰქვიღა, შინღის-



მოკლედ:

სპორტული ცხოვრების ქრონიკები

\* 2017 წლის 28 აგვისტოს ქ. ბუდაპეშტში (უნგრეთი) დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი ჭიდაობა ძიუდოში. იქ გამოვა საქართველოს ნაკრებიც. კასპელი გულშემატკივარი იმედოვნებს, რომ პირველივე დღეს მოასპარეზე, ჩვენური ამირან პაპინაშვილი, უმეტესად არ დარჩება, რითაც სტიმულს მისცემს მეგობრებს, ყველა ერთად კი წარმატებული გამოსვლით ასახელებს საქართველოს.

\* კასპელმა მოჭიდავეებმა - ზვიად ოლოშაშვილმა, კახა მამულაშვილმა, ბექა ბერძენიშვილმა, ასევე, ტრისტან ფეიქრიშვილმა და სხვებმა ზაფხულის ცხელ დღეებში შედეგიანად იპაექრეს საქართველოს სოფლებში (ლამისყანა, კოჯორი, ფლევი, წყნეთი...) გამართულ სახელობით და მემორიალურ ტურნირებში და გამარჯვებულთა საშუალებით შევიდნენ. მაგალითად, ოლოშაშვილმა მოიგო ლამისყანის აბსოლუტური და წყნეთის პირადული პირველობები, ხოლო მე-2 იყო კოჯორში... ახლა მასაც და მამულაშვილ-ბერძენიშვილსაც ნოემბერში მსოფლიო ჩემპიონატში გამოსვლა ელით (სამბოში).

ონატში გამოსვლა ელით (სამბოში).

\* 23 აგვისტოს კასპის რაიონის სოფელ ალაიანში ჩატარდა ზურაბ მუზაშვილის - თბილისური 2015 წლის წყალდიდობის დროს გმირულად დაღუპული მამულის (ყოფილი მოჭიდავის) - ხსოვნისადმი მიძღვნილი სამხარეო ტურნირი ქართულ ჭიდაობაში (ჭაბუკთა შორის).

\* დამდეგ თვეში რამდენიმე ცნობილი ჩვენური მოჭიდავის დაბადების დღეა - 2 სექტემბერსა დაბადებული (1952) სამბოში მსოფლიო ჩემპიონი იოსებ მალალაშვილი, 12 სექტემბერს (1938) - გივი ბალხამიშვილი ("ჭანჭარა"), 15 სექტემბერს (1952) - ძიუდოში ევროპის ჩემპიონი ამირან ობგაიძე...

\* სასექტემბროდ, სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, ახალგაზრდობა აახმთანებს 2017 წელს ამოქმედებული კასპის სპორტკომპლექსის დარბაზებს.

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

სულ ახლახან ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ეროვნული მუზეუმის (ინიციატორები: ვახტანგ შატბერაშვილი, მწერალ გიორგი შატბერაშვილის ძმისშვილი, ნიკა ჩაღუნელი და ნინო ჯანაშვილი) ხელშეწყობითა და ორგანიზებით დაიგეგმა ერთობლივი პროექტის განხორციელება, რომლის მიზანი გახლავთ გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდსაცავებში დაცული მასალების სრული აღრიცხვა, კონსერვაცია, დაცვა, გაუმჯობესებული საშუალების ჩატარება. აგრეთვე, სამუზეუმო დოკუმენტების ციფრული ვერსიის, ექსპონატების პასპორტების შექმნა-განახლება და ფოტოგადაღება.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ასეთი ხანგრძლივი და შრომატევადი საშუალების ჩატარების შემდეგ ცხადია, შეიქმნება იმის წინა პირობა, რომ აუცილებლად მომზადდება კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის ერთობლივი უურნალისათვის სამეცნიერო და საკატალოგო სტატიები.

აღინიშნული პროექტის ორგანიზებულად და შეუფერხებლად წარმართვისათვის კარგა ხანია დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები, ამ მიმართულებით წინასწარ დაიჭირა თადარიგი კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანებამ /დირექტორი გივი მელაძე /, რომლის უშუალო ძალისხმევით უკვე მოიმარაგეს სხვადასხვა სახის საჭირო სამეურნეო და საკანცელარიო ნივთი...

პროექტით გათვალისწინებული, ინტენსიური სამუშაო საშუალების განხორციელება ჯერ კიდევ ორი თვის წინ დაიწყო. კერძოდ კი, მუზეუმების თანამშრომლებმა ფონდსაცავიდან გამოიტანეს აშურიანის ველზე ჩატარებული გათხრების შედეგად მოპოვებული არქეოლოგიური მასალა.

— აუცილებლად უნდა შეგახსენოთ ერთი, ფრიად საგულისხმო გარემოებაც. საქმის გახლავთ, რომ ზემოთ ნახსენები გათხრები ჩაატარა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომლის ხელმძღვანელი გახლდათ აწ განსვენებული ზებედე /ბედი / შატბერაშვილი, — განმარტავს კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი გიორგი ჩაღუნელი, — ამ ადამიანს ქართველი საზოგადოება შესანიშნავად იცნობდა. ბატონი ბედი ბრძანდებოდა ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის, ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი შატბერაშვილის ვაჟი, რომელსაც ზედმიწევნით უყვარდა ქართლი, განსაკუთრებით კი, ჩვენი კუთხე. სამშობლოზე უზომოდ შეყვარე-

დაინახე შენი ისტორია

ბული, თავისი საქმის უდიდესი პროფესიონალი ბედი შატბერაშვილი ხშირად სტუმრობდა მამა-პაპულ თვალდას და გული როგორ გაუძლებდა, რომ არ მოენახულებინა კასპის მხ-

იანის ტერიტორიებზე გათხრებისას ნაპოვნი სამუზეუმო ექსპონატები.


რომ არა, ვატო შატბერაშვილი, მისი დიდი მონღობა, სურვილი, 2015 წელს კას-



არეთმცოდნეობის მუზეუმი და მისი გულითადი მასპინძელი, მწერალი გიორგი ხორგუაშვილი, რომელიც მისი დიდი ხნის მეგობარიც გახლდათ. საბედნიეროდ, მქონდა დიდი პატივი, რომ მე, ჩემს თანამშრომლებთან ერთად შევხვედროდი მას და მე-მასპინძელა მისთვის, შეხვედრა დაუვიწყარ მოგონებად დარჩა.

პის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქეოლოგიის დარბაზი ვერ გაიხსნებოდა იმ სტანდარტებით, როგორც ახლა გვაქვს.

შემოდგომაზე კიდევ უფრო გაღრმავდება ეროვნულ მუზეუმთან თანამშრომლობა. როგორც ამბობენ, დაგეგმილია, რომ გაფორმდეს მეორადი ეროვნულ მუზეუმსა და კასპის



გიორგი შატბერაშვილი

სწორედ ბედი შატბერაშვილის უდიდესი მეცადინეობით მოხერხდა ის, რომ კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გადაეცა, როგორც აშურიანის ველზე ჩატარებული გათხრებისას აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა, ასევე მეტეხისა და ალა-

მხარეთმცოდნეობის მუზეუმს შორის, რაც რასაკვირველია, თანამშრომლობისათვის კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია, კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპოზიციის, ფონდსაცავების კარგად განვითარებისა და მოწყობის კუთხით.



ტრენინგი

“დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი დემოკრატიის საფუძვლები”



კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ევროსაბჭოს და ევროკავშირის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტის “ინფორმირებული მოქალაქე - ძლიერი თვითმმართველობა”-ს ფარგლებში, ბორჯომში ორდღიანი გასვლითი ტრენინგი ჩატარდა. პროექტის და ტრენინგის შესახებ მონაწილეებს მოკლე ინფორმაცია მიაწოდა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა - სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა გონა გოჩიტაშვილმა.

ტრენინგი შეეხებოდა დეცენტრალიზაციასა და ადგილობრივი დემოკრატიის საფუ-

ვლებს, რომელსაც ტრენინგი ამირან გივინიშვილი უძღვებოდა.

ტრენინგს ესწრებოდნენ პროექტის სამუშაო ჯგუფის, რ ადმინისტრაციული ერთეულის სათემო-საკონსულტაციო ჯგუფის წევრები, გამგეობის და საკრებულოს მოხელეები. ტრენინგს ასევე ეწრებოდა საერთაშორისო ასოციაცია “კავიტასგეორგიკას” დირექტორი, ექსპერტი გიორგი მესხიძე, რომელიც სამუშაო ჯგუფის წევრებს შეხვდა. შეხვედრაზე იმსჯელეს პროექტის მიმდინარე და შემდგომ ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ.



# ქართული ხალხური და საესტრადო სიმღერების კონკურსის დასრულების ცერემონია

ქალაქის კულტურის ცენტრში ჩატარდა ქართული ხალხური და საესტრადო სიმღერების კონკურსის დასრულების ცერემონია. კონცერტზე დასახელებული საესტრადო სიმღერების კონკურსზე გამარჯვებულები.

გრან-პრი გადაეცა ხალხური სიმღერების შემსრულებლებს, ქვემო ჭალის კულტურის სახლთან არსებული ხალხური სიმღერების შემსრულებელი წრის მოსწავლეებს მძებ ხელაშვილებს

და მათ ხელმძღვანელს გიორგი ხასიშვილს. საესტრადო სიმღერების კონკურსში გრან-პრით დაჯილდოვდა კულტურის ცენტრის დუეტი /გიორგი ჯავახიშვილი და ანი მიგრაული / და მათი პედაგოგი ზაზა მენაბდიშვილი, კონკურსის ლაურეატის წოდება მიენიჭა კონკურსის მონაწილე 153 შემსრულებელს...

ლაურეატის წოდებით დაჯილდოვდნენ აგრეთვე, პედაგოგები: ნინო ხუციშვილი, ნინო მერეზაშვილი, თამარ ბახტაძე, თამარ ბიჭაშვილი, მათი სეზისკვერძე, ნინო რეხისაშვილი, მანანა ზუბიაშვილი, ეთერ წიწიკაშვილი, ლალი კალატოზიშვილი, იზო ჩაკვეტაძე, გიორგი ხასიშვილი, ზაზა მენაბდიშვილი, ნინო ქენქაძე.

ქართული ხალხური სიმღერის შესრულებისათვის კონკურსის სპეციალური პრიზი /ფანდური/ გადაეცა ფერმის საბაზო სკოლის გოგონათა ჯგუფს, ხოლო სკოლის დირექტორს შახალ ისმაილოვს გადაეცა მადლობის ბარათი - აზერბაიჯანულ მოსახლეობაში ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაციისათვის. გალა-კონცერტში მონაწილეობდა კომპოზიტორი ზურაბ ჩინჩალაძე, რომლის ჰიმნითაც დასრულდა სახეიმი კონცერტი. გრან-პრი გამარჯვებულებს გადასცეს კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გონა გონიჭაშვილმა, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიხეილ ქოსაშვილმა.



კონკურსების პროექტის ავტორი გახლდათ კულტურის ცენტრის დირექტორი ზაზა მენაბდიშვილი, ხოლო პროექტის კოორდინატორი ლია სოხიაშვილი.

კონკურსების პროექტის ავტორი გახლდათ კულტურის ცენტრის დირექტორი ზაზა მენაბდიშვილი, ხოლო პროექტის კოორდინატორი ლია სოხიაშვილი.

კონკურსების პროექტის ავტორი გახლდათ კულტურის ცენტრის დირექტორი ზაზა მენაბდიშვილი, ხოლო პროექტის კოორდინატორი ლია სოხიაშვილი.



## სკოლის სხოვარების ქრონიკა

### 50-ე წელიწადი

ბავშვობის უღამაზეს მოგონებათაგან განსაკუთრებულია დედაენასთან ზიარება, პირველი მასწავლებელი... მერე გაფრინდება უდარდელი ბავშვობა და საყვარელ სკოლასთან განშორების ბოლო ზარიც ირეკება...

წელს ბოლო ზარი კასპის მესამე სკოლაში ორმოცდამეათეჯერ დაირეკა... კარგად მახსოვს, ჩვენი პატარა ქალაქის ეს უბანი ამ ნახევარი საუკუნის წინათ არც მჭიდროდ იყო დასახლებული და არც ასე ლამაზად გამოიყურებოდა, (მინდორი სამოვრად გამოიყენებოდა მხოლოდ, ველური ბუჩქნარ-ჯავანარანი იყო).

1966 წლის 12 სექტემბერს კი პირველმა სასკოლო კორპუსმა ერთბაშად თითქმის ყველა ნომინაციის, ოღონდ თითო, კლასი მიიღო. ძირითადად მოსწავლეები მეორე საშუალო სკოლ-

იდან საგნების მასწავლებლებთან ერთად "შემოსახლდნენ", განიტვიტოთა "დედა-სკოლა". ნორჩები ერთსართულიანი, ნახევარბარაკული შენობიდან აგურის სამსართულიანი კორპუსის ფართო, ნათელ საკლასო ოთახებსა და თვალუწვდენელ ეზო-მიდამოში გალაღდნენ. "საკუთარი" მხოლოდ პირველკლასელები ჰყავდა.

პირველი სასწავლო წლის დასასრულს კი, 1967 წლის 25 მაისს, პირველი, ისტორიული გამოშვების "ათვლის წერტილიც" დაფიქსირდა... მესამე სკოლამ "თავისი ტერიტორია" მონიშნა.

პირველი დირექტორი - ბატონი ლევან გურგენიძე - სპეტაკი პიროვნება, ბავშვებზე შეყვარებული, წყნარი, ერუდირებული, სამაგალითო პიროვნება ბრძანდებოდა.

"აი, კლასის ბოლო რიგში ჩემი მერხი, ყრმობისა და ჩემი ლექსის საბუღალრო" - დაწერა პირველი გამოშვების კურსდამთავრებულმა მანანა ჩიტიშვილმა. მანანა გორის პედინსტიტუტის სტუდენტობისას ცნობილი ქართველი მწერლის ოთარ ჩხეიძის ლიტერატურულ წრეში გამოიწვით და დღეს ცნობილი პოეტი, რამდენიმე პრემიით დაჯილდოვებული... იმ წელს, 50 წლის წინათ ჩემი პირველი პუბლიკაცია დაიბეჭდა რაიონულ გაზეთ "განთიადში". 1977 წელს კი ჩემი



პირველი რესპუბლიკური კონკურსის გამარჯვებული ორი ლექსი მოხვდა საქართველოს ორმოცდაათი პედაგოგის ლექსთა კრებულში "ლირიკული რეკუილი". ეს იყო სასაჩუქრე გამოცემა საქართველოს მასწავლებელთა მე-9 ყრილობისათვის და იგი დირსეულ ქართველ პედაგოგთა ამ დიდი თავყრილობის მესამესკოლემა დელეგატმა, სასწავლო ნაწილის გამგემ და ზნეკეთილმა ფილოლოგმა ნინო კიტრიაშვილმა საოცარი ავტოგრაფით მარჯუა... მისი შვილი და გაზრდილ-

ალზრდილია ცნობილი პოეტი ვაჟა ოთარაშვილი, მრავალი პრემიის ლაურეატი... ორმოცდაათი წელი ისტორიისათვის ერთი წამია, თვალის ერთი დახამხამება. ამ მცირე დროში კი პედაგოგთა ძალისხმევით აქ ბევრი დირსეული ადამიანი აღიზარდა (მათ შორის მსოფლიო დონის მეცნიერ-მკვლევარებიც ელიზა მარქარაშვილი და მზია ბერუაშვილი). საიუბილეო სასწავლო წელი კი თვალსაჩინო წარმატებით ოთხმა მედალოსანმა ასახელა: მარიამ დალაქიშვილი და მარიამ ბაშარული ოქროს, მარიამ ბურმის-ტროვა და ანი თურქაძე კი ვერცხლის მედლებით უკვე სტუდენტებიც გახდნენ, თან გრანტიებიც მოიმარჯვეს... ვინ იცის, მომავალში რა თვალსაჩინო მეცნიერული მიღწევებით ამოუდგებიან გვერდში თანასკოლელებს - ცნობილ ექიმ-კარდიოლოგ იამზე ქამხაძეს, აკაკი წერეთლის აკადემიური ოცტომეულის მკვლევარ-პროფესორ

ჯული გაბოძეს, რაიონის სპორტული (და არა მხოლოდ) მატანის მოჭირნახულე ამირან ტალახაძეს...

წელს, 25 მაისს, თეატრალიზებულ "გამომშვებზე" 30 კურსდამთავრებულს საკუთარი ლექსებით დაულოცეს გზა მესამე სკოლის დირექტორმა მარინა ქონიაშვილმა, კლასის ხელმძღვანელმა ცირა შაქარაშვილმა და ამ სტრიქონების ავტორმა.

წლების მანძილზე რუდუნებით შევკრიბე უნიკალური ბიოგრაფიული და ფოტომასალა, მალე იუბილარი სკოლის მატანედ რომ აიკინებოდა. მემამყება, რომ მეც მესამესკოლეელი ვარ. გულისფანცქალით ველოდები სკოლის ორმოცდამეათე პირველკლასელებს, საიუბილეო წიგნში ხომ მათი ფოტოც აუცილებლად დამჭირდება!

ეს კი ორმოცდამეათე კურსდამთავრებულთა ფოტოა...

თამარ გაბოძე.

ხშირად, მამაკაცები, რომელთაც სურთ, რომ თავიანთი სქესის აღმატებული წარმოჩინონ, მეცნიერებისა და ხელოვნების ისტორიის მოკლე მიმოხილვას მიმართავენ. დიას, ეს ყველაზე ბანალური და მარტივი ხერხია იმის ხაზგასასმელად, რომ მეცნიერი თუ ხელოვანი მამაკაცების რიცხვი ათასჯერ აღემატება ამავე სფეროებში მოღვაწე ქალების რაოდენობას. ეს რკინის არგუმენტი და მას მორთავდა „ჩვენ უფრო ჭკვიანები და ნიჭიერები ვართ“ ჰქვია. რაც მთავარია, მამაკაცები, რომლებიც ამ არგუმენტით „მოგვკამენ შენს ადგილზე“ ამტკიცებენ, რომ მათ არც ძველმოდური ცრურწმენები აქვთ და არც სექსისტები არიან, პირიქით, სტატისტიკური მონაცემების მოშველიება ასეთ მომენტებში მათ „წინ წასულობაზე“ მეტყველებს, ისინი მხოლოდ და მხოლოდ ფაქტებს აქცევენ ყურადღებას. ერთი წამით, შესაძლოა, ნებისმიერ მსმენელს მოეჩვენოს, რომ მათი ბაგეები ჭეშმარიტებას ლაღებენ. თუმცა, ამ მამაკაცებს, ყველაფერს რომ სტატისტიკურ-ისტორიული ჭრილიდან უდგებიან, სინამდვილეში სწორედ ისტორიისა ნაკლებად გაეგებათ. იცოდნენ დიდი ომების ხანგრძლივობა და თარიღები, მეცნიერული აღმოჩენებისა და კულტურული წინსვლის პერიოდები და დათვლილი გქონდნენ, თუ რამდენი ისტორიული პირი მონაწილეობდა ამ მოვლენებში, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ წარსულის შესახებ საფუძვლიანი წარმოდგენა გაქვს. ჩვენს სახელმძღვანელოებში რატომღაც ძალიან მცირე ადგილი ეთმობა სხვადასხვა ეპოქის ადამიანების მსოფლმხედველობის, სოციალურ-კულტურული თავისებურებების განხილვას. არადა, ყველაზე საინტერესო ისტორიული მასალა სწორედ ის არის, თუ რა ხდებოდა, მაგალითად, მეტიქსმეტე საუკუნეში მცხოვრები გლეხის თავში, როგორ იყო „დალაგებული“ ამავე პერიოდის ფეოდალის აზრები და ა.შ. ყოველი ისტორიული მოვლენის გასაღები ხომ ზუსტად იმდროინდელი ადამიანების მსოფლმხედველობაა – თუკი ამ „დაშვებას გავაკეთებთ“, მაშინ შეგვიძლია იმის მიზეზებიც ვეძიოთ, თუ რატომ აჭარბებს მამაკაცი მეც-



ნიერების, ხელოვნებისა და საზოგადო მოღვაწეების რიცხვი ქალებისას. აქვე შეგვიძლია დავსვათ კითხვები: ვის ეკუთვნოდა ძალაუფლება ოჯახში, სახელმწიფოში, რელიგიასა და განათლების სისტემაში საუკუნეების განმავლობაში? იყო თუ არა ეს ძალაუფლება აგებული უხემ ფიზიკურ ძალასა და ეგრეთ წოდებულ იდეოლოგიურ „ტვინის რეცხვაზე“? 1906 წელს მიხეილ ჯავახიშვილი გახუთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ სტატიის „ქალთა მოძრაობის ისტორიიდან“ წერდა: „დედაკაცის მდგომარეობის ისტორიას რომ თვალი გადავავლოთ, ნათლად დავინახავთ, რომ დღემდის მიზეზი დედაკაცის დაბეჩავებისა იყო უფლება ძლიერისა. ძლიერის უფლება არც დღეს მოსპობილა და არც ამ ახლო მომავალში მოისპობა. მაგრამ ის კი ცხადია, რომ თანდათან სამართლიანობა ამარცხებს ძალის უფლებას და, იმედია, ერთ დღეს სრულიად მოსპობს მას.“

ისტორიული ასპარეზი ნიჭიერების გამოსავლენად წარმოიდგინეთ, რომ ხართ ქალი, რომელიც რამდენიმე საუკუნის წინ დაიბადა. თქვენ განათლება არ მოგცეს, რადგან, კაცები ამბობენ, ქალს განათლება არ სჭირდება. ერთ დღესაც თქვენ რაიმე მოვლენის მიმართ პროტესტი გაგიჩნდათ და იმდენად გაკადნიერდით, რომ საკუთარი აზრი მამაკაცების თანდასწრებით გამოხატეთ. უარეს შემთხვევაში მამისგან/ძმისგან/ქმრისგან „მოგხვდებოდათ“ და ცხოვრებაში მეორედ ვეღარ გაბედავდით ხმის ამოღებას. უკეთეს შემთხვევაში კი დამცინავად მიგითითებდნენ, რომ ეს ქალის საქმე არ არის. თუ თქვენ გაბედავდით (რაც საუკუნოა) და დასვამდით კითხვას: „რატომ?“ და მიუხედავად ამ სითამამისა ძლიერ მუშტს ასცდებოდით, ჩათვალეთ, რომ ძალიან ლმობიერი მამაკაცის გვერდით ყოფილხ-

ართ. ეს ლმობიერი მამაკაცი აუცილებლად აგინხნიდათ, თუ რატომ არ არის ესა თუ ის საკითხი ქალის გასარჩევნი და განსასჯელი – აქ იგი არგუმენტებად მოიყვანდა უამრავ სოციალურ სტერეოტიპს, ტრადიციას, რელიგიურ ციტატას, წესს,



რომლის გადახვევაც არ შეიძლება; და თქვენ ბოლომდე აღსავსე გულით და უბრუნდებოდით იატაკის ხეხვას.

ჩვენ ვიცით, რომ ქალებისთვის განათლება ათასწლეულების მანძილზე არ იყო ხელმისაწვდომი. მხოლოდ ყველაზე არისტოკრატ და განებივრებულ ქალბატონებს ჰქონდათ ამის ფუფუნება და მათი რიცხვი უზარმაზარ ქვეყნებშიც კი ათეულებს არ აჭარბებდა. ჩავთვალოთ, რომ ტვინიც კუნთია და ქალებს მისი გავარჯიშების უფლება არ ჰქონდათ, ისევე როგორც სხვა კუნთებისა. როცა ისტორიულ სტატისტიკას გადავხედავთ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, სოციალისტთა ამა თუ იმ ნაწილს რა უფლებებზე მიუწვდებოდა ხელი და რა როლს თამაშობდა ის საზოგადოებაში. მხოლოდ მაშინ მივხვდებით, რომ მილიონ-



ობით ქალს მათემატიკური ნიჭის გამოყენება მხოლოდ საკუთარი ციკლის დღეების და შვილების რაოდენობის დათვლაში ჩაუკლავს. მილიონობით ქალს ანალიტიკური აზროვნება ზამთრისათვის სურსათის გადანახვისა და შვილების დასჯა-არდასჯის საკითხებისთვის მოუხმარებია. და კიდევ, უამრავი ქალის გენიალური არტიზიტულობა მხოლოდ ძლიერი სიმღერების შეთხზვაში, ხელსაქმეში, ანდა სუფრის კონსტად გაწყობაში გამ-

# მხიარა ისტორია და დიდი პერსონაჟი

## როცის ამოცნობის წამოწყობის ძალის უფლებას



Mary Wollstonecraft 1759-1797 Pioneering feminist

ოიხატებოდა. ამ ყველაფერს მამაკაცი დააკვირდებოდა და ხანდახან თავის დიაცს ეტყოდა კიდევ: „ეს რა კარგი რამეა, გეომეტრიისა და მუსიკის დიდი მცოდნე იყო. ასევე, ქალაქ ჰომპის კედლის მხატვრობას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ მასზე უამრავი ქალი გამოსახული ეტრატებით, კალმებითა და სხვადასხვა ხელნაწერებით ხელში. შეიძლება ითქვას, რომ ძველი რომის ეპოქის შემდეგ ევროპაში ქალთა განათლება გაუმჯობესების ნაცვლად სულ უფრო და უფრო დაკნინდა და უმნიშვნელო გახდა.“

განათლების ისტორია – რამდენიმე ეპიზოდი ჩინეთში საუკუნეების განმავლობაში მიიწივდა, რომ ქალი რაც უფრო გაუნათლებელია, მით უფრო მორალურია. ხოლო განათლებულ ქალს ყოფა-ქცევა ეცვლება და საკუთარ როლს კარგად ვეღარ ასრულებს. სწორედ ამიტომ, ქალთა განათლებას ამ ქვეყანაში ყურადღება არ ექცეოდა. ჩინეთში მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს გაიხსნა ქალთა სამედიცინო კოლეჯი. მეოცე საუკუ-

ის, გეომეტრიისა და მუსიკის დიდი მცოდნე იყო. ასევე, ქალაქ ჰომპის კედლის მხატვრობას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ მასზე უამრავი ქალი გამოსახული ეტრატებით, კალმებითა და სხვადასხვა ხელნაწერებით ხელში. შეიძლება ითქვას, რომ ძველი რომის ეპოქის შემდეგ ევროპაში ქალთა განათლება გაუმჯობესების ნაცვლად სულ უფრო და უფრო დაკნინდა და უმნიშვნელო გახდა.

ყველაზე პარადოქსული ქალთა განათლების ისტორიაში მაინც მუსლიმური სამყაროს ფენომენია. იქ, სადაც ქალთა უფლებები ყველაზე უფრო მეტად ირღვევა, ფაქტია ალ-ფი-

**უნდა გავითვალისწინოთ, სოხიუმის ამა თუ იმ ნაწილს რა უფლებაზეა მიუწვდებოდა და რა როლს თამაშობდა ის საზოგადოებაში.**

პირი 859 წელს დააარსა ალ-კარაუინის უნივერსიტეტი. მისი საქმე მოგვიანებით აიუბიდების დინასტიამ გააგრძელა. დამასკოში უამრავი მეჩეთი და საგანმანათლებლო ცენტრი გაიხსნა და მათ ძალადი წარმოშობის ქალები აფინანსდნენ იმ ფულით, რომელიც რელიგიური ან საქველმოქმედო მიზნებისთვის იყო გამოყოფილი. მეორე მეტე საუკუნის მეცნიერის, იბნ აზაკირის ცნობით, მუსულმანი ქალებისთვის განათლება ხელმისაწვდომი იყო. მის წყაროებზე დაყრდნობით, ქალები სამეცნიერო ხარისხებს – იჯაზესაც იღებდნენ და მეცნიერები და მასწავლებლები ხდებოდნენ. თავად იბნ აზაკირს თავის დროზე მალალი კლასის წარმომადგენელ მდებრებს ეხეობოდათ. მაგალითად, რომის კონსტანტინოპოლის ქალიშვილი კორნელია მეტელა უამრავ წყაროშია მოხსენიებული, როგორც უზომოდ განათლებული და ჭკვიანი ქალი. მას ხოტბას ასხამს თვით პლუტარქეც. კორნელია ლიტერატურ-

სშირად დადიოდნენ არაოფიციალურ ლექციებზე მეჩეთებში. მიუხედავად იმისა, რომ ქალებს განათლების მიღება ოფიციალურად არ ეკრძალებოდათ, უამრავი მამაკაცი მაინც ამ ფენომენით აღშფოთებული იყო. მუსლიმ ქალბატონებს მუშაობის უფლება არ ჰქონდათ, მაგრამ შეეძლოთ განათლების მიღება, რადგან იმ

**ყოველი ისტორიული მოვლენის გასაღები ხომ წინააღმდეგობაა ადამიანების მსოფლმხედველობა**

შემთხვევაში, თუ მათი ქმარი გარდაიცვლებოდა, შვილებისთვის ესწავლებინათ და ემუშავათ, რათა ოჯახი გადაურჩინათ.

შუა საუკუნეების ევროპაში ქალების განათლება თითქმის აღარ არსებობდა. რა თქმა უნდა, იყვნენ ადამიანები, რომელთაც ამის პრივილეგია მიეცათ. თუმცა, ძველი რომისგან განსხვავებით, სადაც ქალები განათლებას იმისთვის იღებდნენ, რომ ორატორები ან მღვივანეები მაინც გამხდარიყვნენ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა მიეღოთ, შუა საუკუნეების ევროპაში საკითხი სულ სხვანაირ-

**ვის ეკუთვნოდა ქალაუფლება ოჯახში, სახელმწიფოში, რელიგიისა და განათლების სისტემაში საუკუნეების განმავლობაში?**

ად იდგა. რელიგიური ავტორიტეტები ხშირად ეწინააღმდეგებოდნენ ქალთა განათლებას. გოგონებს უფლება ჰქონდათ რაიმე ესწავლათ საკუთარი დედასთან, მაშინ როცა ბიჭები მასწავლებლებთან ან ეკლესიის მფარველობის ქვეშ მყოფ სკოლებში დადიოდნენ. ქალი ბავშვობის პერიოდში პირდაპირ ქორწინების პერიოდზე გადადიოდა და მას სულაც არ ჰქონდა დრო იმისთვის, რომ მნიშვნელოვან სფეროებში განათლება მიეღო.

**\*დასასრული იქნება.**

# ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი“ ომარ მხეიძის სახელობისა

ყველას თავისებურად იმასსოვრებს ქალაქი, მრავალთა ხსოვნაში ცხადად შემორჩა ის განცდა სკოლაში გაკვეთილზე, რომ გვიცხადებდნენ „ქართულ ხალხურ“ ცეკვაზე ვისაც გინდათ სიარული ცემენტის ქარხნის კლუბში მიდითო და ... იქ შეგამოწმებდნენ ან მიგიღებდნენ ან არა; ერთი სიტყვით, შერჩევის პრინციპით ხდებოდა იზა თაბუკაშვილის ცეკვის კლასის მოსწავლე. დროთა განმავლობაში თავს თუ გამოიჩინდი ყველა გცნობდა, გაქებდნენ და შენ წარმატებას საკუთარ ღირსებად აღიქვამდა ქალაქი. უმეტესად მექართულებს სწყალობდა მაყურებელი, ამიტომ ახსოვთ ვაჟა ბერიანიძე, ზურიკო მუმლაური, ვერიკო გიგილაშვილი, მათა ბიჭიკაშვილი. ქალბატონ იზას აღზრდილი 14 ქორეოგრაფი დღეს უკვე თავად ასწავლის მომავალ თაობას „ქართულ ხალხურს.“



კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში გაიმართა ღვაწლმოსილი და ცნობილი ქორეოგრაფის, ანსამბლ „იმედის“ ხელმძღვანელის იზაბელა თაბუკაშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის 55 წლისთავის საღამო.

შეხვედრაზე ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა, რომ ამიერიდან ანსამბლი „იმედი“ ომარ მხეიძის სახელობისაა. ცოცხალი ლეგენდა - ბატონი ომარი თავად ბრძანდებოდა კასპში. იმედი „იმედი“ მომავალში აუცილებლად მიადწევს იმ სიმაღლეს, რომელზეც ასახვლა ქართული ცეკვა ომარ მხეიძემ.



დამსახურებულ ქორეოგრაფს იზაბელა თაბუკაშვილს დიდი ხანია იცნობს ჩვენი ქალაქის საზოგადოება. მას დამთავრებული აქვს სერგო ზაქარაიძის სახელობის თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებელი საკლუბო საქმისა და ქორეოგრაფიის სპეციალობით, 1964 წელს იზაბელა თაბუკაშვილი დაოჯახდა და იქიდან მოყოლებული ქორეოგრაფიულ მოღვაწეობას ეწევა კასპში.

ვინ მოთვლის, რამდენი თაობა აზიარა ქორეოგრაფიის სიყვარულს. ქალბატონი იზაბელა თაბუკაშვილი გახლდათ საქართველოს ქორეოგრაფიისა და სიწმინ-

სო შემსრულებლად, საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირმა მას მიანიჭა დამსახურებული ქორეოგრაფის და პედაგოგის წოდება. მიღებული აქვს აგრეთვე, ოქროს მედალი და მრავალი საპატიო ჯილდო, ჩვეულებრივ შემართებით და ხალისით, „იმედს,“ რომელმაც არა ერთ ნიჭიერ მოცეკვავეს გაუკვლია გზა ქართული ხელოვნებისაკენ.

ანსამბლი „იმედი“ სისტემატურად მონაწილეობს სხვადასხვა კონკურსში, ფესტივლებსა თუ საზეიმო, საქველმოქმედო, სამთავრობო ღონისძიებებში, „იმედი“ არის სხვადასხვა ფესტივლისა და კონკურსის, უამრავი პრიზისა და დიპლომის მფლობელი.

ანსამბლის უცვლელი ქორეოგრაფის შემოქმედებით საღამოზე მოცეკვავეებმა წარმოადგინეს რეპერტუარში არსებული ქართული ცეკვები: სადარბაზო ცეკვა „დავლური“ (სოლისტები: ნინო ჯანჯალაშვილი, ლევან სოფრომაძე), „სამაია“ (ნატა პირველი, თათია ხიზანიშვილი, სოფო ბერიანიძე), „ნარნარი,“ „აჭარული“ (სოლისტები: სოსო ბერიანიძე, ლევან და მარი ოდიშვილები, ანუკი პაპაშვილი, თათია გერმისაშვილი, მარი მელაძე), „მთიულური“ (სოლისტები: გიორგი კრუპნიკოვი, გიორგი ადამაშვილი, გიორგი თეზელაშვილი, საბა აფციაური), პოპური („ოსურის“ სოლისტები: ანა

პაპაშვილი, რობერტ ილურიძე, „ლეზგინკის“ სოლისტები: ქეთი ლაშქარაშვილი, ქეთი გოჭოშვილი, ლაშა ხიზანიშვილი, ლაშა თაბუკაშვილი). მაყურებლის აპლოდისმენტები დაიმსახურა შვიდი წლის გიორგი ადამაშვილმა.

შემოქმედებით საღამოზე ცეკვებს ენაცვლებოდა საესტრადო სიმღერები. ქორეოგრაფს მიესალმნენ და სამომავლო შემოქმედებითი წარ-

ალური ორგანიზაციის თავმჯდომარე, საქართველოს დამსახურებული არტისტი თენგიზ ჯავახიშვილი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, ოსეთის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსი ომარ ხუბაევი, ღირსების ორდენის კავალრები ნუნუ ღვინერია და ჯემალ რეხვიაშვილი.

შემოქმედებითი საღამოს მონაწილეებსა და მოწვეულ სტუმრებს,



მატება უსურვეს იზაბელა კობიაშვილმა, მიხოსოსაშვილმა, ზაზა მენაბდიშვილმა, მანანა ხოხაშვილი, ხათუნა ხაჩიძემ, ნატალი ჟივიძემ, გიორგი ვარაყანიძემ.

ღონისძიების ორგანიზატორებს მიესალმნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გორა გორიტაშვილი და კასპის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი მეზურნიშვილი.

ქორეოგრაფისადმი მიძღვნილ ღონისძიებას ესწრებოდნენ საპატიო სტუმრები: საქართველოს სახალხო არტისტი, თბილისის საპატიო მო-

საღამოს უძველეს ბოლნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმე-



ქალაქე, ღირსების ორდენის კავალერი ომარ მხეიძე, საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის „ოსურის“ სოლისტები: ანა

თა დამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე და ქალაქის კულტურის ცენტრის ღირებულნი ზაზა მენაბდიშვილი.





რამდენი საინტერესო რამის კეთება შეიძლება ზაფხულში. მერე, რომ ცხელა, სამაგიეროდ, მშობლები ოფიციალურად გრთავენ ნებას ბევრი იწუწო, ბევრი ნაყინი ჭამო, რაც მთავარია, მეცადინეობა აღარ გიწვევს და უსაქმურობის ნეტარება გაქვს წინ. თუმცა, უს-



აქმურობაში მხოლოდ იმას ვგულისხმობ, რომ სკოლის დავალებების შესრულებას არ გთხოვენ. დარწმუნებული ვარ, ზაფხულში თავგადასავლები თავზესაყრელად გაქვს. მთელი დღის განმავლობაში რამდენი თამაშობის მოგონება მოგიწევს, სირბილი, დამალვა და საიდუმლო ოპერაციების შესრულება. თამაშის მერე ათმაგად სასიამოვნოა ზაფხულის ხილის ჭამა.

ზაფხული ძალიან, ძალიან კარგი დროა იმისთვის, რომ ახალი ადამიანები გაიცნო, ბევრი ითამაშო მათთან და დაუმეგობრდე. კიდევ, შეგიძლია ნახო უამრავი ახალი ადგილი, გაისეირნო და გაინავარდო ბუნებაში, ჩაისუნთქო სუფთა ჰაერი და დატკებ ყვავილებით.

ზაფხულში შეგიძლია დიდი ხნის მონატრებული ბები და ბაბუა ნახო, ზამთრიდან შემორჩენილი მურაბით გასკდე და უამრავი ზღაპარი მოისმინო.

რაც მთავარია, ზაფხულში თამაში მთავარი არაა, ხანდახან საშინლად მოგიწდება სიგრილეში წამოწვე და საინტერესო წიგნები გადაშალო. აი, მანდ მართლაც საოცარ რამებს გადააწყდები. ამ დროს განსაკუთრებულად მაგარია სათავგადასავლო წიგნების კითხვა. შენც ხომ მოგზაურობის ხასიათზე ხარ და სურვილებსაც აისრულებ. აბა, შენ იცი, მოიმარაგე ყოველ ვერნი, მაინ რიდი, ალექსანდრე დიუმ და სხვები. მეც შემდეგ ნომრებში მოგიყვები მათ შესახებ. იცოდე, კითხულობ და



თან სიმაღლეში იზრდები. რაც ბევრს წაიკითხავ, მით მაღალი გაიზრდები.

დამიჯერე, ზაფხული საკმარისია იმისთვის, რომ სკოლაში წასვლა საშინლად მოგიწინდეს, ერთი სული გექნება,

სწავლა როდის დაიწყება. შეიძლება საკლასო ოთახის სუნიც კი მოგეწონოს. ჰოდა, ბედნიერი, გარუჯული, გაზრდილი და უამრავ თავგადასავალგადადენილი დაბრუნდები სკოლაში და დაელოდები შემდეგ ზაფხულს.

პირველი ფუმფულა სათამაშო დათუნები 1906 წელს დაამზადეს ბავშვებისთვის. ამ თოჯინების გამოჩენა ამერიკაში, თეოდორ რუზველტის პრეზიდენტობის პერიოდს დაემთხვა და სწორედ მისი სახელის აღერსობითი ფორმა – “თედი” – დათუნია დაარქვეს.



მიკი მაუსის სასაცილო, რბილი ფიგურა, დიდი, მრგვალი ყურებითა და ოთხთითა ხელებით. ამ თავუნას ტოლს არ უდებდნენ მულტფილმის სხვა პერსონაჟების მიხედვით შექმნილი თოჯინები.

შემდგომ ათწლიწადში თოჯინის სახლი სათამაშო ტელეფონმა შეცვალა. ამერიკაში მშობლის მხრიდან ყველაზე კარგ გადაწყვეტილებად ითვლებოდა შეეძინა ეს ნივთი თავისი შვილისთვის. სათამაშო ტელეფონზე წინასწარ ეწერა ნომერი, რომელიც ბავშვს უნდა აეკრიფა, პატარები კი ფრიად ერთობოდნენ წარმოსახვით მოსაუბრესთან ბაასით.



1958 წელს 27 წლის კაცმა თავისი გოგონასთვის ახალი სათამაშო შექმნა, რომელიც მალევე საქვეყნოდ ცნობილი გახდა. ეს იყო პატარა ფიგურების კრებული, რომლის აწყობისას მიიღებოდა საშარულო და სხვადასხვა კერძები,



შემდეგ კი უცნაური პირდაღებული არსების გამოკვებაც გიწვევდა.

ამავე ათწლეულში ბავშვებს კიდევ ერთი დიდი გატაცება ჰქონდათ. ეს მოწყობილობა მაშინვე ქმნიდა საიდუმლო მისიის ატმოსფეროს. ბავშვები დღეების განმავლობაში ხელიდან არ უშვებდნენ რაციას, რომელიც სადენით მეორე რაციაზე იყო გადაბმული. მეორე რაციის მფლობელი კი აუცილებლად კიდევ ერთი “ჯაშუში” ან “სუპერ-გმირი” იყო.

წელს გაჩნდა. მისი წინაპარი კი გერმანული თოჯინა ბილდლილი იყო. ბარბის მალევე მოჰყვა ამავე თოჯინის ბიჭივერსია – კენი.



ყველა გოგონასთვის საყვარელი თოჯინა ბარბი 1959

თქვენთვის საინტერესო თემებზე

კარგა ხანია ვრდილობით თქვენთვის საინტერესო თემებზე გესაუბროთ, უფრო სწორად, ისეთ რამებზე და ისეთ ვინაობებზე, რომელთა შესახებ მშობლებს ეზარებათ (ან არ სჯობია!) რომ გაამბონ. თქვენ ახლა უფრო ბევრი ირთ ვიდრე მარტინ და თუ ხშირად ნაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, მართლაც, ბევრ საინტერესო და სასიამოვნო სიახლეს შეიტყობთ მსოფლიოში გაფანტულ სანავაშვო მუზეუმებსა თუ ატრაქციონებზე, ნაკლებად ცნობილ და მალევე უხილავ

სავანძურზე... ნინ მოყოლოდნენადა საინტერესო შეხვედრები გელოდებოთ, ოღონდ ამისთვის აურილელად უნდა გამოიწეროთ გაზეთი “ახალი განთიადი”!

მამ ასე, მობრძანდით რედაქციაში! გააფორმეთ ხელმოწერა, დატოვეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში მიიღებთ პასუხს.

გამოგვიხატეთ! და გამოიწერეთ გაზეთი „ახალი განთიადი“!

\* დასასრული.

რკონის სამონასტრო კომპლექსში, რომლის საერთო ფართობი თითქმის 1 ჰა-ია (13X70 მ.), გამოირჩევა მშენებლობის 3 ძირითადი ფენა, რომლებიც სამონასტრო ცხოვრების პერიოდებს უნდა შეესაბამებოდეს.

პირველ ფენას მიეკუთვნება VII საუკუნის ღვთისმშობლის ეკლესია, რომლის თავდაპირველი ფორმების დადგენა ახლა ძნელია. შედარებით უკეთ არის შემონახული აღმოსავლეთი ფასადი. ინტერიერში მოხატულობის ნაშთია (ძველი და განვითარებული შუა საუკუნე). მეორე ფენა - XIII - XIV საუკუნეების მიჯნა - ღვთისმშობლის ეკლესიის კარიბჭე და სამლოცველო, ნათლისმცემლის ერთნაირი ეკლესია და სატრაპეზო. მესამე ფენა - XVI - XVIII საუკუნეები - სამრეკლო, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი. რკონის შესახებ ხალხ-

ოვთისმშობლის ეკლესია

ურმა ზეპირსიტყვიერებამ რამდენიმე ლეგენდა შემოგვინახა. როგორც მთელ საქართველოში, ისე აქაც თითქმის ყველა ნაგებობის ისტორიას თამარის სახელს უკავშირებენ.

გადმოცემით, რკონის ნათლისმცემლის ეკლესიასა და წმ. ნიკოლოზის ეკლესიას შორის საიდუმლო გვირაბი არსებობდა. ამ გადმოცემის საფუძველი უნდა იყოს წმ. ნიკოლოზის ეკლესიის პირველ სართულზე შემორჩენილი ხვრელის დასაწყისი.

არის ფანტასტიკური ხასიათის ლეგენდაც - თითქოს რკონიდან ქვათახევისაკენ სამი გვირაბი გადიოდა. როცა ქვათახევილი ხმის პერიოდში XII-XIII საუკუნეებში რკონზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო და სამხედრო-სტრატეგიული გზა, რომელიც აკავშირებდა შიდა ქართლს საქართველოს სამხრეთ პროვინციებთან, სომხეთის გავლით, ახლო აღმოსავლეთთან. სავაჭრო თუ საქარავნო გზებმა ხელი შეუწყო რკონსა და მის მიდამოებში დიდ სამონასტრო მშენებლობას.

ეკლესიის მთელი სიღრმისა და სიგანის გამოკვლევა, რომელიც მთელ საქართველოში, ისე აქაც თითქმის ყველა ნაგებობის ისტორიას თამარის სახელს უკავშირებენ. გადმოცემით, რკონის ნათლისმცემლის ეკლესიასა და წმ. ნიკოლოზის ეკლესიას შორის საიდუმლო გვირაბი არსებობდა. ამ გადმოცემის საფუძველი უნდა იყოს წმ. ნიკოლოზის ეკლესიის პირველ სართულზე შემორჩენილი ხვრელის დასაწყისი. არის ფანტასტიკური ხასიათის ლეგენდაც - თითქოს რკონიდან ქვათახევისაკენ სამი გვირაბი გადიოდა. როცა ქვათახევილი ხმის პერიოდში XII-XIII საუკუნეებში რკონზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო და სამხედრო-სტრატეგიული გზა, რომელიც აკავშირებდა შიდა ქართლს საქართველოს სამხრეთ პროვინციებთან, სომხეთის გავლით, ახლო აღმოსავლეთთან. სავაჭრო თუ საქარავნო გზებმა ხელი შეუწყო რკონსა და მის მიდამოებში დიდ სამონასტრო მშენებლობას.



ქართლში  
გაზრცილოვანი  
ხალხური თამაშები  
ითამაშე ერთი ან ორი დროით



დღეს ორ თამაშს გაგაცნობ, რომლებიც ერთი შეხედვით ძალიან ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ სხვადასხვანაირია. შენ შეგიძლია აირჩიო და ხან ერთი ითამაშო შენს მეგობრებთან ერთად და ხან მეორე.

პირველი თამაში - დროშობა, იგივე დროშობანა ქართლში გავრცელებული ხალხური თამაში ყოფილა.

ორი გუნდი შუახაზით გაყოფილ მოედანზე დგება. შუახაზიდან, ერთმანეთის მოპირდაპირე მხარეს ორ-ორი ნაბიჯის დაშორებით შემოვლებულია თითო პატარა წრე. გუნდები თავ-თავიანთი ნახევრის ბოლოში განლაგდებიან. ამ ადგილს ბინა ეწოდება.

თითოეული გუნდიდან გამოდის თითო მოთამაშე, მათგან ერთი მედროშეა, მეორე - თავდამსხმელი. მედროშეს ხელში დროშა უჭირავს. ნიშანზე ისინი ერთდროულად გარბიან შუახაზისკენ. მედროშემ დროშა თავის ნახევარზე შემოხაზულ წრეში უნდა ჩაასოს და უკან გაიქცეს. ამ დროს თავდამსხმელი ცდილობს დაეწიოს და ხელის შეხებით ჩაჭრას.

თუ პირველი მოთამაშე ბინაზე ჩაუჭრელი მივა, მაშინ ისინი როლებს ცვლიან - თავდამსხმელი მედროშედ იქცევა, მედროშე კი - თავდამსხმელად.

შემდეგი მოქმედება ყველაზე საფრთხილო რამეა. დროშა უნდა მოხსნა და ბინაზე მიიტანო. თუ პირველი წყვილი თამაშს ჩაუჭრელად დაასრულებს, გამოდის მეორე წყვილი და ა. შ.

თუ მედროშე ჩაი-

ჭრა, იგი ტყვედ აჰყავთ და თავიანთ ნახევარზე შემოხაზულ წრესთან აყენებენ.

ახალ მედროშეს თანაგუნდელის გათავისუფლება შეუძლია. ოღონდ, ამასაც თავისი წესი აქვს. მედროშემ უნდა გადაკვეთოს შუახაზი და მოწინააღმდეგის წრეს ფეხით შეეხოს, მაგრამ თუ ამ დროს თავდამსხმელმა ჩაჭრა, ისიც დატყვევებული ითვლება.

გამარჯვებული ის გუნდია, რომლის წევრებიც დროშას უფრო მეტჯერ მიიტანენ ბინაზე.

ორი დროშა, ანუ ორდროშობანა განსხვავდება დროშობანასგან. ამ თამაშს აღმოსავლეთ საქართველოში თამაშობდნენ ბავშვები. ახლაც აგიხსნი თამაშის წესებს. მინდორში გაავლებენ შუახაზს და მის პარალელურ შუა ხაზიდან დაშორებულია 20-25 მეტრით. მონაწილეები ორ გუნდად იყოფიან, ბავშვები შიდა ხაზს უკან დროშას არტობენ და თვითონ საკუთარ ნახევარზე განლაგდებიან. მოთამაშეთა მიხანია, მოწინააღმდეგე გუნდს დროშა ისე მოსტაცონ, რომ მომტაცებელი არ დაიკენოს (დაკენჭილად ითვლება ის მოთამაშე, რომელსაც ხელით შეეხებიან).

თუ მომტაცებელი დაიკენჭა, იგი მეტოქის

ნახევარზე იმ ადგილას რჩება, სადაც ხელით შეეხნენ. მისი გათავისუფლება თანაგუნდელს შეუძლია. მოწინააღმდეგის შიდახაზს უკან დაკენჭილი მოთამაშე ტყვედ ვარდება.

ტყვეებსა და მოტაცებულ დროშას დარაჯად მიჩენილი ჰყავთ ერთი მოთამაშე, რომელსაც უფლება არა აქვს, შიდა ხაზს გამოსცდეს. ტყვეების გათავისუფლების ნება, მხოლოდ დროშის გამტაცებელს ეძლევა. ტყვეებსა და გატაცებულ დროშას, დარაჯის გარდა, მთელი გუნდიც იცავს, მაგრამ შიდა ხაზიდან გადმოსული მოწინააღმდეგის ჩაჭრა მხოლოდ დარაჯს შეუძლია. ის ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მოწინააღმდეგე დაკენჭოს.

ამით მისი მეტოქეები თანდათან მცირდებიან და იმ გუნდს, რომელშიც უფრო მეტი მოთამაშეა, შეუძლია დროშის გატაცება. გამარჯვებული ის, ვინც გატაცებულ დროშას ბოლომდე შეინარჩუნებს.

როგორც მიხვდი, დროშობანაც და ორდროშობანაც ისეთი თამაშებია, ბავშვების გამაყრუებელ ფრიაბულს რომ იწვევს. მთავარია, დროშა გქონდეს და მერე ამოირჩევ, რომლის თამაში გირჩევნია.

თუ მომტაცებელი დაიკენჭა, იგი მეტოქის

თქვენი ყვანა

Facebook

სიზაჭა

ვინ არის საუკეთესო მასწავლებელი? - ტანჯვა.

ვინ არის ცუდი მასწავლებელი? - განცხრომა.

რისი უნარია ყველაზე იშვიათი? - გაცემის.

რისი უნარია ყველაზე უკეთესი? - პატიების.

რა არის ყველაზე ძნელი? - დუმილი.

რისი უნარია ყველაზე მნიშვნელოვანი? - შეკითხვის.

რისი უნარია ყველაზე საჭირო? - მოსმენის.

რომელია ყველაზე საშიში ბრძოლა? - ფანტიკური.

რომელი თვისებაა ყველაზე საზიანო? - ლაყობა.

რომელი ადამიანია ყველაზე ძლიერი? - ვინც ჭეშმარიტება შეიცნო.

რომელი ადამიანია ყველაზე უღონო? - ვისაც თავი ყველაზე ძლიერი ჰგონია.

რომელი ადამიანია ყველაზე გონიერი? - ვინც გულისთქმას მიჰყვება.

რომელი ჩვევაა ყველაზე საშიში? - საკუთარი სხეულით ტკობა.

რომელი ადამიანია ყველაზე ღარიბი? - ვისაც ყველაზე მეტად უყვარს ფული.

რომელი ადამიანია ღმერთთან ყველაზე ახლოს? - გულკეთილი.

რომელი ადამიანია ყველაზე სუსტი? - სხვებზე გამარჯვებული.

რომელი ადამიანია ყველაზე ძლიერი? - საკუთარის თავის დამმარცხებელი.

რა დაუუპირისპიროთ უბედურებას? - სიხარული.

რითი ეძლიოთ ტანჯვას? - მოთმინებით.

ჯანმრთელ სულს რა გამოარჩევს? - რწმენა.

რა არის ავადმყოფი სულის მანიშნებელი? - უიმედობა.

რა მასსიათებელი აქვს არასწორ ქმედებას? - გაღიზიანება.

რა მასსიათებელი აქვს კეთილ ქმედებას? - სიმშვიდე.

რუსუდან მაჭავარიანი.

შეგიძლიათ გამოგიყვანოთ

გამოსათხოვარი

ლალი ჩხნილაძე



ექვთ. 1972 წლიდან 2006 წლამდე კასპის საავადმყოფოს ინფექციურ განყოფილებაში გაატარეთ, უდიდესი რულუნებითა და ძალისხმევით

გული მწყდებოდა, რომ წარსულში იცავდით პაციენტების ინტერესს. უნდა მოგიხსენიოთ, მრავალს შემურდება ჩვენო ერთგულო, მზრუნველო, უღალატო, ყველას ღირსა და ღირსის გამზიარებელო... ჩვენს რაიონში ალბათ, ძნელად მოიძებნება ოჯახი, რომელმაც სახელგანთქმული მკურნალის - ლალი რცხილაძის სახელი არ იცოდეს. თქვენ 58 წელი - ნახევარსაუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში პროფესიულ მოვალეობას ასრულებდით.

პროფესიული თავდადების მრავალი საუკეთესო მაგალითი დღემდე ახსოვს ჩვენს ქალაქს... მშირად გაიგონებთ - "ლალი რცხილაძემ მასწავლა, რომ..." - ე. ი. ნათქვამის სიმართლეში აღარ უნდა შეეგეპაროს

გიული ბალალაშვილი.

ქასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა მწახარებით იწყება, რომ გარდაიხსნა ღვაწლმოსილი ექიმი ლალი ჩხნილაძე და სამაქიძარს უხსნაღვას განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი „ახალი განთიარლი.. მწახარებით იწყება, რომ გარდაიხსნა ღვაწლმოსილი ექიმი ლალი ჩხნილაძე და სამაქიძარს უხსნაღვას განსვენებულის ოჯახს.

უხანგი, კოზა, გოგიზა, ზაზა მოსიარვილიანი ოჯახებით ღვაწლმოსილი მწახარებით იწყება, რომ გარდაიხსნა ღვაწლმოსილი ექიმი ლალი ჩხნილაძე და სამაქიძარს უხსნაღვან განსვენებულის ოჯახს.

უცნაური, მოულოდნელი, აუხსნელი

ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ აუხსნელი მოვლენის მოწმე ხდება. უმეტეს შემთხვევაში არ ვიცით, ვის გავუზიაროთ ნანახი, ალბათ იმის შიშით, რომ შეიძლება არასწორად გაგვიგონ.

გამოგვიხსნათ!

თუ ყოფილხართ მომსწრე აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენისა შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ამ ფაქტის ამსახველი ვიდეო, ფოტო მასალა და გავვიმხილოთ საკუთარი ემოცია, შთაბეჭდილება.

გამოგვიხსნათ!

მასალის გაცნობისა და შესწავლის შემდეგ, თუ იგი საინტერესო იქნება ფართო აუდიტორიისათვის, მკითხველისათვის, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით „შეუცნობელი.“

გამოგვიხსნათ!

ყველა აუხსნელი მოვლენის უკან შეიძლება იმალებოდეს პასუხი ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე, ველოდებით თქვენს გამოხმაურებას.

წინასახარჩევნო აგროსქიპისა და წინასახარჩევნო რეკლამის განთავსებისთვის 2017 წლის 21 აგვისტოდან - 2017 წლის 21 ოქტომბრამდე გამოყოფილია გაზეთის ფართობი. გაზეთის ერთ ნომერში გამოყოფილია ფართობის სიდიდე შეადგენს 5520სმ<sup>2</sup>; მოთავსად გამოყოფილია ფართობის უფასო ნაწილის სიდიდე შეადგენს 2760 სმ<sup>2</sup> A3 ფორმატის ჩანართის ტარირებულებათა 368 ტ (1სმ<sup>2</sup> -40 ოციონი).

რედაქცია სელაქანალოზ თაიისუალი პარის პრინციპით. მოგანილი უაჩხუბის სიუხსაზა პასუხისმგებელია ავტორი. სარედაქცია მასალაზე და განსაღვადავის შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგავს. რედაქციის ნებაართვის გარეშე მასალის გამოქვეყნება იარედაქცია.

რედაქცია ნანა მარედაქცია რედაქციის მისაღვართი: 2800 შ ქასპი საპაქიპის შ. № 68 ტელეფონი 22-25-76 გაზეთი იგავრება გამომთხველოვა კოლორში.